პედაგოგთა გამოწვევები საგაკვეთილო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით (ს.ს.ი.პ. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. საირხის საჯარო სკოლის მაგალითზე)

ნოდარ ხიჯაკაძე

თათია დიდებაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია მჟავანაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდით ჩვენი პრაქტიკის აკადემიურ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ნათია მჟავანაძეს, გაწეული შრომისა და თანადგომისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ს.ს.ი.პ. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. საირხის საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ეკა ენუქიძეს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ჩვენს კვლევით პროცესში, გვაწვდიდა სხვადსხვა საინტერესო და საჭირო მასალასა თუ რეკომენდაციას. ასევე მადლობას ვუხდით სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფს, მასწავლებლებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი კვლევის ყველა ეტაპზე.

აბსტრაქტი

აღნიშნული პრაქტიკის კვლევა წარმოადგენს ანგარიშს თემაზე: ,,პედაგოგთა გამოწვევები საგაკვეთილო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით (ს.ს.ი.პ. საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. საირხის საჯარო სკოლის მაგალითზე)".

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლაში ჩატარებული კვლევის მიზანია დადგინდეს რა ციფრულ კომპეტენციებს ფლობენ მასწავლებლები და რა გამოწვევების წინაშე დგანან ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით, რათა საჭირო ინტერვენციების განხორციელების შედეგად მოხდეს სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდა და ეფექტურად გამოყენება, რაც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- ლიტერატურის მიმოხილვა საქართველოსა და სხვა ქვეყნების მაგალითზე;
- პრობლემის განსაზღვრა;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- კვლევა;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება/ანალიზი;
- ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება;
- განხორციელებული ინტერვენციების შეფასება/ანალიზი;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ჩვენი კვლევის საკვლევი კითხვები კი ჩამოვაყალიბეთ შემდეგნაირად:

1. რა გამოწვევების წინაშე დგანან პედაგოგები საგაკვეთილო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით?

2. როგორ გავზარდოთ პედაგოგთა მხრიდან საგაკვეთილო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი?

ჩვენს პრაქტიკის კვლევაში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები. პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით, პირველ რიგში, შევხვდით საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლის დირექტორს, რომელთანაც გვქონდა სიღრმისეული ინტერვიუ და ასევე, საწყის ეტაპზე გავეცანით საკვლევი ჯგუფის მასწავლებელთა გაკვეთილის გეგმებსა და რეფლექსიებს. შემდეგ გვქონდა ინტერვიუ მასწვავლებლებთან და კითხვარი მოსწავლეებთან.

მოცემული მეთოდებით ჩავატარეთ დიაგნოსტიკური კვლევა და კვლევის შედეგების მიხედვით დაიგეგმა კონკრეტული ინტერვენციები. ჩატარებული ინტერვენციების ანალიზისთვის გამოვიყენეთ მასწავლებელთა მხრიდან თითოეულ განხორციელებულ ინტერვენციაზე მიღებული შესაბამისი უკუკავშირი, რომელიც მოიცავდა მასწავლებლის მხრიდან აღნიშნული ინტერვენციის ეფექტიანობის დეტალურ შეფასებას და მათთვის ყველაზე კარგად აღქმად და ნაკლებად აღქმად საკითხების გამოყოფას. გარდა ამისა, ინტერვენციების დასასრულს ჩავატარეთ გამოკითხვა მასწავლებლებთან, რომლის მიხედვითაც შევაფასეთ ჩვენ მიერ განხორციელებული ინტერვენციების ეფექტურობა და არსებული სიტუაციის გაუმჯობესების მაჩვენებლი. ინტერვენციების ანალიზის შედეგის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებული ინტერვენციები მაქსიმალურად იყო მორგებული მასწავლებელთა საჭიროებებს და მისი საშუალებით გადაიდგა პირველი ნაბიჯები სკოლაში არსებული გამოწვევების დასაძლევად.

საძიებო სიტყვები: გამოწვევები, ჩართულობა, ინტერვენცია, თანამშრომლობა, აქტივობა.

Abstract

The study of this practice is a report on the topic: "Challenges of teachers in terms of the use of technology in the teaching process (on the example of the public school in the village of Sairkhi, Sachkhere Municipality)".

The aim of the research conducted in the public school of Sairkhi village of Sachkhere Municipality is to determine what digital competencies teachers have and what challenges they face in terms of using technologies in order to increase the use and effective use of educational technologies in the learning process.

To achieve this goal, we set the following tasks:

• Literature review on the example of Georgia and other countries;

• Problem identification;

• Development of research methodology;

•research;

• Processing / analysis of information obtained as a result of research;

• Planning / implementation of interventions;

• Evaluation / analysis of implemented interventions;

• Develop conclusions and recommendations.

The questions of our research were formulated as follows:

1. What challenges do teachers face in terms of using technology in the teaching process?

2. How to increase the rate of use of technology in the teaching process by teachers'?

In our practice research we used qualitative research methods. In order to identify the problem, f irst of all, we met the principal of the public school in the village of Sairkhi, Sachkhere Municipality, with whom we had an in-depth interview and also, at the initial stage, got

acquainted with the lesson plans and reflections of the teachers of the study group. Then we had interviews with teachers and a questionnaire with students.

We conducted a diagnostic study using the given methods and specific interventions were planned according to the results of the study. For the analysis of the interventions, we used the relevant feedback received from the teachers on each intervention, which included a detailed evaluation of the effectiveness of the intervention by the teacher and the identification of the issues that are best perceived and least perceived by them. In addition, at the end of the interventions, we conducted a survey of teachers, according this we evaluated the effectiveness of our interventions and the rate of improvement of the current situation. Based on the results of the analysis of the interventions, we can say that the interventions we offered were tailored to the needs of the teachers and through it the first steps were taken to overcome the challenges in the school.

key words: Challenges,Involvement, Intervention, cooperation, activity.